



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№869

2016 წლის 12 აგვისტო

ქ.ლაგოდეხი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს გამგებლის მოადგილისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ბრძანების აღრიცხვის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე.“ „ა.ვ“ და „ე.ე“ ქვეპუნქტების, 57-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2014 წლის 25 ივლისის N20 დადგენილების მე-6 მუხლის მესამე პუნქტის „ა.ვ“ ქვეპუნქტისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 12 აგვისტოს N868 ბრძანების „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ შესაბამისად

ვბრძანებ:

მუხლი 1. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის ალექსი ჭანკოტაძის მიერ, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 12 აგვისტოს N868 ბრძანებით „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ განსაზღვრული უფლებამოსილებით „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2016 წლის პროგრამის“ ფარგლებში გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, აღირიცხოს ინდექსით - „N 2/ - .

მუხლი 2. ბრძანებით განსაზღვრული პროცედურების კონტროლი დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმის წარმოების განყოფილებას.

მუხლი 3. ნუმერაცია გაგრძელებულ იქნას „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2016 წლის პროგრამის“ ფარგლებში გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების (ბრძანებების) წიგნში თანმიმდევრულად.

მუხლი 4. „ბრძანება“ ეცნობოს ყველა დაინტერესებულ მხარეს.

მუხლი 5. ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

მუხლი 6. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №22.

გამგებელი



კარლო ჯამბურია